პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) შედგენასა და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა და გზების, ქუჩების, ტროტუარების, საყრდენი კედლების, შენობა ნაგებობების, სოფლად წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და პარკების, მოედნების, სკვერების, სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>მიზანი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად შედგენა და</p>		



	სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 01		762,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) შედგენასა და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევას. მიზანი - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია პროექტების ექსპერტიზა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 02		535,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ქუჩების, ტროტუარების, საყრდენი კედლების, შენობა ნაგებობების, სოფლად წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და პარკების, მოედნების, სკვერების, სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შედგენა. მიზანი - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად შედგენა.		
მოსალოდნელი შედეგი	მომზადებულია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 06 03		500,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპეციალიზირებული დასუფთავების მანქანის და სატვირთო ავტომობილის შეძენა		



	მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის სრულყოფილად მოვლა
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და დასუფთავებული ტერიტორია და ინფრასტრუქტურა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება
	02 07		ათ. ლარში 1 969,8
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია (სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიზანი - სოფლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		
მოსალოდნელი შედეგი	სოფლებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	დაფინანსება
	02 08		ათ. ლარში 3 239,9
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განხორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. მიზანი - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისი მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	დაფინანსება
	02 09		ათ. ლარში 232,9
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძლიერი ქარის შედეგად ქ.გორში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება		



მიზანი - სტიქიით მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია.

მოსალოდნელი შედეგი ლიკვიდირებულია სტიქიით მიყენებული ზიანი.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2,846.0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,780.0
03 01 02	საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შექმნა	66.0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	640.0
03 02 01	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	640.0
სულ		
დასუფთავება და გარემოს დაცვა		3,486.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	დაფინანსება
	03 01		ათ. ლარში
			2 846,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას.</p> <p>მიზანი - ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება
	03 01 01		ათ. ლარში
			2 780,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, ქალაქის გარდა სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 77 სოფელში. ქალაქში განთავსებულია 560 სანაგვე სანაგვე ურნა, რომლის დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით 350 სანაგვე ურნა იცლება დღეში 2-ჯერ.</p>		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია 1400 სანაგვე ურნა, რომლებიც იცლება დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქის (კვერნაკის) ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ხდება სანაგვე კონტეინერების და სპეციალიზირებული მანქანების სველი წესით დამუშავება. ზამთრის სეზონზე დგება მორიგეობის გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის ქუჩებში ხდება მარილის მოხვნა.		
	მიზანი - დასუფთავებული და მოვლილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შექმნა	დაფინანსება
	03 01 02		ათ. ლარში
			66,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შექმნა. მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება
	03 02		ათ. ლარში
			640,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანერგე მეთუნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილის ჩითილების გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება დასვენების პარკი „ახალბაღის“ მოვლა-პატრონობა. მიზანი - გამწვანებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	დაფინანსება
	03 02 01		ათ. ლარში
			640,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა. ასევე ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილის ჩითილების გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება დასვენების პარკი „ახალბაღის“ მოვლა-პატრონობა.</p> <p>მიზანი - გამწვანებელი გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და გამწვანებულია პარკები, სკვერები და გაზონები და დასვენებისათვის შექმნილია მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელი
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	11,967.7
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2,320.8
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	9,646.9
04 02	განათლების ხელშეწყობა	1,054.0
04 02 01	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა დათანადაფინანსება	110.0
04 02 02	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	944.0
სულ		13,021.8
განათლება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01		11 967,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს: მოსახლეობისათვის საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების ასევე ინკლუზიური განათლებას. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო გარემო.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება
	04 01 01		ათ. ლარში 2 320,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.</p> <p>მიზანი - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალი და რეაბილიტირებული, სტანდარტების შესაბამისი პირობების მქონე სკოლამდელი დაწესებულებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება
	04 01 02		ათ. ლარში 9 646,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს: მოსახლეობისათვის საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების ასევე ინკლუზიური განათლებას. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებასა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №87 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან, მეთოდური მიმართულების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 ბაღი, სადაც ირიცხება 6000-მდე სკოლამდელი ბავშვი. მათ შორის გოგო 59% და ბიჭი 41%, რომელთაც ემსახურება 401 აღმზრდელი პედაგოგი. ბაღების გაერთიანებას ემსახურება 4 ფსიქოლოგი, რომლებიც საჭიროების მიხედვით ემსახურებიან აღსაზრდელებს, ბაღებში ირიცხება 9 შშმ აღსაზრდელი, უშუალოდ თითოეულ ბავშვზე მიმავრებულია ინდივიდუალური ასისტენტი, რომლებიც უვლიან და ამლევენ ბავშვებს ინკლუზიური განათლებას.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და და შექმნილია ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო, გადამზადებულია აღმზრდელი პედაგოგები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება
	04 02		ათ. ლარში 1 054,0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას; აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.</p> <p>პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p> <p>ბ) საბუნებისმეტყველო;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა. შ.).</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-იანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება (ფასიანი საჩუქრები/სტიპენდიები).</p> <p>• ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს სააკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საზაფხულო ბანაკის მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 2021-22 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებისთვის და მე-12 კლასელებისთვის და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში, კერძოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირებას. საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში-არაფორმალურ გარემოში, გაივლიან სატრენინგო კურსს კვალიფიციურ ტრენინგებთან.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, კლასგარეშე აქტივობების განხორციელება, ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამაში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სკოლისგარეშე განათლება და უზრუნველყოფილია წარმატებული აბიტურიენტების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 04 02 01	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში 110,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში.</p> <p>პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p>		



ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება;

გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:

ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;

ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.

ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების გატარებას, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საზაფხულო ბანაკის მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 2021-22 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებისთვის და მე-12 კლასელებისთვის და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში, კერძოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირებას. საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში-არაფორმალურ გარემოში, გაივლიან სატრენინგო კურსს კვალიფიციურ ტრენერებთან.

მიზანი - მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროექტებში; ახალგაზრდების წახალისება.

მოსალოდნელი შედეგი განხორციელებულია პროექტები და გაზრდილია პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება
	04 02 02		ათ. ლარში
			944,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები		
	მიზანი - საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის კომფორტული სასკოლო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესზე დროული დასწრება		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობა.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,574.8



05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	386.8
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	925.0
05 01 02 01	ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა	786.0
05 01 02 02	ქალთა სპორტის განვითარება	65.0
05 01 02 03	ამპუტატნტთა ფეხბურთის განვითარება	74.0
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	2,263.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,018.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	118.2
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	72.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	1,341.0
05 02 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	265.0
05 02 05	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	680.0
05 02 06	მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	437.0
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	64.8
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	40.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	460.0
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონერგიის ხარჯის დაფინანსება	80.0
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	380.0
სულ		7,052.8
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 01		ათ. ლარში
			3 574,8
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა. მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სპორტული განვითარების ხელმისაწვდომობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება
	05 01 01		ათ. ლარში
			386,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მონიტორინგი, ტურნირზე გამარჯვებული სკოლების საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. გამარჯვებული სკოლა საქართველოს წარადგენს მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე. მათი ხელშეწყობის მიზნით გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მონაწილე გუნდების ეკიპირების, სიგელების და თასების შესყიდვას.</p> <p>რაგბიში და კალათბურთში ჩართული გუნდებისა და სკოლებისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, ამ გზით მათი სპორტული მიღწევების და შემდგომი პროგრესის ხელშეწყობა. მერია აცხადებს მზადყოფნას რამდენიმე ასაკობრივი გუნდის, რომლებიც ასპარეზობენ უმაღლეს ლიგაში („დიდი 10“) გარკვეული თანხით დაფინანსებას, მათი წახალისების მიზნით, რაც მიმართული რაგბის განვითარებისკენ.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსპექტიული სპორტსმენების გარკვეული თანხით წახალისებას სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამით მოხარულნი იქნებიან სპორტსმენმა უნდა დაასაბუთოს რა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება კონკრეტულ სპორტულ შეჯიბრებში მონაწილეობა.</p> <p>ქვეპროგრამა შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. აგრეთვე გათვალისწინებულია წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში და წარმოაჩენენ თავს მიღწეული შედეგებით.</p> <p>მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, მოზარდების ჩართვა სპორტულ სექტორში. წლის შედეგების მიხედვით, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება..</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 01 02		ათ. ლარში
			925,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 28 ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას, რომელიც დაკომპლექტებულია 750 მოზარდით (მათ შორის 236 გოგო 514 ბიჭი). ასევე უზრუნველყოფს ქალთა და ამპუტანტთა გუნდების მომზადებას წლის განმავლობაში სხვა და სხვა ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად. საფეხბურთო ვარჯიშები და წვრთნები მიმდინარეობს 8 სპორტულ სტადიონზე, რომლის მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფეხბურთო კლუბი. ფუტსალის გუნდი შედგება 12 ფეხბურთელისგან და 2 მწვრთნელისგან. წლის განმავლობაში გუნდი გადის მომზადებას და წარმატებით მონაწილეობს ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონატში, რითაც პოპულარიზაციას უწყევს სპორტის ამ სახეობას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქალთა და ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. გუნდების ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატებში. ფეხბურთის ერთ-ერთი სახეობის - ფუტსალის განვითარების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის კლუბის განვითარება	დაფინანსება
	05 01 02 01		ათ. ლარში
			786,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.</p> <p>მიზანი - საფეხბურთო სკოლისა და გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის განვითარება და ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონის შეუფერხებელი ფუნქციონირება წლის განმავლობაში გამართული ყველა სპორტული ღონისძიების მასპინძლობისთვის. ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება
	05 01 02 02		ათ. ლარში
			65,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალთა საფეხბურთო გუნდის „გორი იუნაიტედი“ დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>მიზანი - ქალთა საფეხბურთო გუნდის ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება
	05 01 02 03		ათ. ლარში
			74,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს.</p> <p>მიზანი - ამპუტანტთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილების დაკავება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 01 03		ათ. ლარში
			2 263,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ბავშვთა და მოზარდთა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპორტის ისეთ სახეობებში როგორცაა: კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, კრივი, ექსტრემალური სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, მიუდო, ტანვარჯიში, კიკბოქსინგი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ჩოგბურთი...; სპორტის სააგენტო სულ აერთიანებს 20 სპორტულ მიმართულებას. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 3164 სპორტსმენი, საიდანაც 773 გოგონაა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტსმენების სტატისტიკა შემდეგია: 1. უმცროსი ასაკის 1848 სპორტსმენი მათ შორის 243 გოგო, 2. უფროსი ასაკის 655 სპორტსმენი მათ შორის 274 გოგო, 3. ახალგაზრდები 504 სპორტსმენი მათ შორის 166 გოგო, 4. დიდები (უფროსები) 157 სპორტსმენი, მათ შორის 90 გოგო. დაგეგმილია სხვადასხვა ტურნირებში, შეკრებებსა და გასვლით ღონისძიებებში სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება, ასევე ადგილობრივი სპორტული ტურნირების მოწყობა.</p> <p>2. მიუდოს კლუბი „გოლდენ გორში“ და თავისუფალი ჭიდაობის კლუბში გაწევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასაკობრივი ჯგუფებისა და მიუდოს კლუბის განვითარების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია ასაკობრივი ჯგუფებისა და სპორტული კლუბის „გოლდენ გორის“ განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება
	05 02		ათ. ლარში
			3 018,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია; გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული პროექტების განხორციელება, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესება. წარმატებული ხელოვნების, საპატიო გორელების დაჯილდოებას და მათ წახალისებას. ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვნების დაჯილდოება. მუნიციპალური გაზეთის „გორის მაცნეს“ მემკვიდრით საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკთხებზე მოსახლეობის ინფორმირება; კულტური და ტურიზმის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა კულტურის ცენტრების და ანსამბლების, ტურიზმის, სახელოვნებო განათლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ფუნქციონირების ხელშეწყობით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება
			ათ. ლარში



	05 02 01	118,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოდგაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ასევე მოხდება შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრებით ან ფულადი ჯილდოთი.</p> <p>მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება, სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებული კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვანების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 02 02		ათ. ლარში
			72,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გაზეთი „გორის მაცნე“ საქმიანობა - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება, მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება, ასევე აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ გვერდის ამოქმედება და გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება;</p> <p>ჟურნალ „აი ია“-ს საქმიანობა - მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების და მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყანაში და რეგიონში არსებული მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაფინანსებულია მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ელექტრონული და ბეჭდური გამოცემები და უზრუნველყოფილია მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამების თაობაზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 02 03		ათ. ლარში
			1 341,0
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სექციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; კულტურის განყოფილებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავახალხიზა, ქიქნისი, მეჯვრისხევი, ტყევი, ზერტი, ძვერა, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორის სუბიშვილის ნომერ 20-ში - ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის წრე, ქართული ენის წრე, საესტრადო ენის წრე, ქორეოგრაფიული ცეკვის წრე, რუსული ენის წრე, ინგლისური ენის წრე, თექის წრე, ხალხური საკრავების წრე (დოლები და საგალობელი), თეატრალური წრე; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის წრე, ვარაიანი - ხალხური საკრავები, ძვერა - ხატვა, ხალხური სიმღერები. ზედღელეთი - ჭადრაკი, კარალეთი - ჭრა-კერვა, ქსოვა, ხატვა; ფლავისმანი - ხელგარჯილობა, ხიდისთავი - ქსოვა, ხატვა, დოლები. ქვახვერი - ჭადრაკი, ატენი - სიმღერის, შავშევი - სიმღერა, მათემატიკა. მეჯვრისხევი - ცეკვა, კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაცნობა. მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მისაცემად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სექციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორცაა: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისის და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგნობრივი მიმართულებით. კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ოჯახების ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 02 04		ათ. ლარში 265,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი ინდუსტრიის უზრუნველყოფა და მისი განვითარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რეგიონის ეკონომიკისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების მეშვეობით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, პოპულარიზაცია და ვიზიტორებისთვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა. ზრუნვა ტურიზმის განვითარებისთვის. ანალოგიური ტურისტული ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევა. აღნიშნულ სფეროში განათლების ხარისხის ამაღლება. ინვენსტორების მოზიდვა, მომსახურების სფეროს ხარისხის გაუმჯობესება. ეფექტური პარტნიორობის მეშვეობით, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და კერძო სექტორისადმი დახმარება.</p> <p>მიზანი - ტურიზმის სფეროში ინვესტორების მოზიდვა, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა. ეფექტური პარტნიორობით, ადგილობრივი კერძო სექტორის ხელშეწყობა და განვითარება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ტურიზმის სფეროს განვითარება და შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტში უცხოელი ტურისტებისა და ადგილობრივი ვიზიტორების მოზიდვისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება
	05 02 05		ათ. ლარში 680,0



